



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/189

„ 7 „ თებერვალი 2015 წ.

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/203-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/203-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკის“ პლანშეტი 1-ის პირველი-მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. **დათბუნებული ქურთუკი** - საშუალო სიგრძის, მდგარი საყელოთი, საყელო - მოსახსნელი ბეწვით, გვერდითი გაჭრილი ჯიბეებით, მარცხენა კალთა შიგნით გაჭრილი ჯიბით, მარჯვენა მკლავზე სამკლავური ნიშნით, მარცხენა მხარეს - სამკერდე ნიშნით. ქურთუკის ბოლო მუშავდება რეზინიანი ქამრით მარცხენა და მარჯვენა მხარეებზე. მზადდება საზედაპირე ქსოვილისაგან - 100% პოლიესტერი, სამშრიანი წყალგაუმტარი. 1მ² ქსოვილის წონა - არანაკლებ 200 გრამისა.

2. **პულოვერი უსახელო** - შავი ფერის, ამოდებული გულით. მზადდება ნახევრად შალის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობა: შალი - 40% (+/- 3%), ხელოვნური ბოჭკო - 60% (+/- 3%).

3. **პერანგი გრძელმკლავიანი და მოკლემკლავიანი** - ჩალისფერი, სახელო ჩაკერებული, რომელიც ბოლოვდება მანუეტით. საყელო კლასიკური, ზურგის კალთა კოკეტკებზე და კოკეტკის ქვევით კეთდება 2 მინაკეტი. მარჯვენა წინა კალთაზე ჯიბის ზემოთ ოქროსფერასოებიანი წარწერა სახელითა და გვარით, საყელოზე ორივე მხარეს ოქროსფერასოებიანი წარწერა "სმს", მარცხენა მხარეს სამკერდე ნიშნით, მარჯვენა მკლავზე სამკლავური ნიშნით. წინა კალთაზე 2 ჯიბეა განლაგებული მკერდის მიდამოებში, ჯიბეების შუაში ვერტიკალურად გასდევს ორმაგი მინაკეტი, ჯიბეების ზევით სარქველებია განლაგებული. მზადდება ბამბა პოლიესტერის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობაში ბამბა უნდა იყოს არანაკლებ 18%-სა.

4. **მაისური** - თეთრი ფერის. მზადდება ბამბა პოლიესტერის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობაში ბამბა უნდა იყოს არანაკლებ 80%-სა. 1 მ² ქსოვილის წონა - არანაკლებ 145 გრამისა.

5. **ჰალსტუხი** - კლასიკური, შავი ფერის, შერეული ბოჭკოს ქსოვილისაგან დამზადებული, რეზინის შესაკრავით.

6. შარვალი ზაფხულის და ზამთრის - კლასიკური, შავი ფერის, სწორი სილუეტის, წინა ნახევარზე ქამრის მიკერების ადგილას მინაკეტით, დახრილი ჯიბეებით, მიკერებული ქამრით, ქამარი დამუშავებულია კორსაჟით, 6 საქამრით, უკანა მარჯვენა ნახევარზე ორკანტიანი ჯიბით, შარვლის წინა ნახევრები დამუშავებულია სარჩულზე. მზადდება ვისკოზა პოლიესტერის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობა: ვისკოზა - 35% (+/- 3%), პოლიესტერი - 65% (+/- 3%). 1 მ² ქსოვილის წონა ზაფხულის შარვლისათვის - არანაკლებ 180 გრამისა, ზამთრის შარვლისათვის - არანაკლებ 250 გრამისა.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

